ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე

სხდომის ოქმი N 5

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 30.03.2021 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - **ალექსანდრე ლილუაშვილი.**

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი: – ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, გელა ჩიკვაიძე, რამაზ არველაძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, ეთერ ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, დავით ხარძეიშვილი, თამთა დვალიშვილი, თამარ შენგელია, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ოლეგი მიქელთაძე, გია ხარაბაძე, ივანე კორძაძე, მალხაზ ცერცვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, ამირან ტალახაძე, თენგიზ დვალიშვილი, სანდრო ხურციძე, შოთა გიორგაძე, მერაბ ხურციძე, დავით ადეიშვილი, დავით კაკაბაძე, აპოლონ რამიშვილი, თორნიკე ერისთავი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ტარიელ ბარამიძე, კობა ძაგნიძე, ბიჭიკო პაიკიძე ,რობიზონ ფუტკარაძე, პაატა ხურციძე, ვარლამ გიორგაძე, გელა ღვიტიძე, გია ოჩხიკიძე.

(დანართი: N1)

სხდომას ასევე ესწრებოდა:

საკრებულოს აპარატის უფროსი: **კობა მაღლაკელიძე.**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი - **ლუიზა ჯოგლიძე.**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში საკითხებში- **ლუბა გოგოძე.**

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი - **მამუკა ნამიჭეიშვილი.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე შტატგარეშე მოსამსახურე - ***გელა კაშია.***

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 15 ^{00} საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ";

   მომხსენებელი: გელა ჩიკვაიძე

2. „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 22 თებერვლის N4 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

   მომხსენებელი: გიორგი ივანიაძე

3. „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N67 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

   მომხსენებელი: გელა კაშია

4. „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის, როგორც სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს, სამშენებლო საქმიანობაზე სამართალდარღვევის საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 7 აგვისტოს N34 დადგენილებაში ცვლილება-დამატებების შეტანის თაობაზე;

   მომხსენებელი: გელა კაშია

5. ,,ვანის მუნიციპალიტეტში 2021 წელში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 11/03/2021 წლის N27 10 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.''

   მომხს: მამუკა ნამიჭეიშვილი

წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტისადმი შენიშვნები არ გამოთქმულა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 27

წინააღმდეგი - არცერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ ვანის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“.

მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციის და შესყიდვების წესი-ადგენს ვანის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებისთვის მსუბუქი ავტომობილების ფუნქციების განაწილების ერთიან სტანდარტს, ახდენს ავტომობილების კლასიფიკაციას და განსაზღვრავს მინიმალურ ტექნიკურ მოთხოვნებს და ფლობს ზღვრულ ღირებულებას. ასევე აღნიშნა, რომ ავტომობილების რიცხვი დგინდება შემდეგი პროპორციით: 100 საშტატო რიცხოვნებამდე დაწესებულების შემთხვევაში 1 ავტომობილი ყოველ 20 საშტატო ერთეულზე, ხოლო ყოველ დანარჩენ 50 საშტატო ერთეულზე დამატებით 1 ავტომობილი. ასევე აქ არის ავტომობილების კლასიფიკაციის წესი, ავტომობილებით მოსარგებლე თანმდებობის პირები ჩამონათვალი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 27

წინააღმდეგი –არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება „ ვანის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“.

(დადგენილება N 6)

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 22 თებერვლის N4 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამ დადგენილებაზე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან მოვიდა ტექნიკური ხასიათის შენიშვნები. კერძოდ, ლოკალური ტერიტორიული ინდექსის ლათინური აბრევიატურა ITT-ნაცვლად უნდა იყოს ITL ასევე 1კვ.მ მიწის ნაკვეთის ფასი ქ. ვანისთვის დადგენილ ნორმატიულ ფასთან უნდა იყოს პროცენტული მიმართებით:

ვანის მუნიციპალიტეტის სოფლების ტერიტორიაზე - 4 ლარი (45,05 %) /

ვანის მუნიციპალიტეტის შიდა სახელწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50მ-ის რადიუსში 6,00-ლარი (67,57%).

დასახლებათა შორის არეალში 3,00- ლარი (33,78%).

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 27

წინააღმდეგი –არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 22 თებერვლის N4 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“;

(დადგენილება N 7)

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე შტატგარეშე მოსამსახურემ გელა კაშიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N67 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2018 წლის 20 ივლისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“, რომელიც ძალაში შევიდა 2018 წლის 13 აგვისტოს. ზემოაღნიშნული კანონის მიღების შესაბამისად აუცილებლად მიგვაჩნია ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულებაში (რომელიც დამტკიცებულ იქნა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2018 წლის 25 იანვარს N67 დადგენილებით) ცვლილებების შეტანა. კერძოდ, დებულების პირველი მუხლის მეორე პუნქტში სადაც საუბარია იმ ნორმატიულ აქტებზე რომლითაც ზედამხედველობის სამსახური წარმართავს თავის საქმიანობას მიზანშეწონილად მიგვაჩნია დაემატოს საქართველოს კანონი ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“, გარდა ამისა ნაცვლად ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ დადგენილებისა, რომელიც ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული 2020 წლის 2 მარტიდან მიეთითოს ,,მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა ნაგებობის ექსპლოატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ მთავრობის N255 დადგენილება, რომელიც ამოქმედდა 2019 წლის 3 ივნისიდან.

გარდა ამისა დებულების მე-7-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტში, სადაც საუბარია სამსახურის ვალდებულებაზე კანონის საფუძველზე განახორციელოს ზედამხედველობა ,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი" - თან ერთად დაემატოს ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი".

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 27

წინააღმდეგი –არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N67 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;"

(დადგენილება N 8)

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე შტატგარეშე მოსამსახურემ გელა კაშიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის, როგორც სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს, სამშენებლო საქმიანობაზე სამართალდარღვევის საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 7 აგვისტოს N34 დადგენილებაში ცვლილება-დამატებების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამმშენებლო სამარღალდარღვევაზე გაცემული მითითება, შემოწმების აქტი, უწყება და. ა შ. დამტკიცებულია ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 7 აგვისტოს N34 დადგენილებით. ამ ფორმებში მითითებულია მხოლოდ ,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის" შესაბამისი მუხლები -- მაგალითად მითითება გაიცემა ამ კოდექსის 25-ე მუხლის შესაბამისად, ვინაიდან ეს მუხლი არის საპროცესო ნორმა რომლითაც ზედამხედველობის სამსახური ახორციელებს სამართალწარმოებას სამშენებლო სამართალდაღვევის დროს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ 2018 წლის 20 ივლისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი", და შესაბამისად ამ კოდექსში განისაზღვრა საპროცესო მუხლები, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს საჯარო ზედამხედველობის ორგანომ ჩვენ შემთხვევაში ,,ზედამხედველობის სამსახურმა", კერძოდ 123 -124 მუხლები შესაბამისად მიზანშეწონილად მიგვაჩნია ზემამხეველობის სამსახურის ფორმებს დაემატოს ფორმები ახალი კანონის -- კერძოდ ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი", ს შესაბამისად შეგენილი ფორმები.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 27

წინააღმდეგი –არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის, როგორც სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს, სამშენებლო საქმიანობაზე სამართალდარღვევის საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 7 აგვისტოს N34 დადგენილებაში ცვლილება-დამატებების შეტანის თაობაზე;

(დადგენილება N 9)

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მამუკა ნამიჭეიშვილმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტში 2021 წელში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 11/03/2021 წლის N27 10 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შუამთაში განსახორციელებელ პროექტებში შევიდა ცვლილებები: მინი სტადიონის ხელოვნური საფარის რეაბილიტაცია- 2000 ლარი, სოფლის ცენტრის კეთილმოწყობა -9193 ლარი, საბავშვო ბაღისთვის ინვეტარის შეძენა-3700ლარი, მდინარე ყუმურზე საცალფეხო ხიდის რებილიტაცია-1375ლარი, ჭალაზე შესასვლელი ჭიშკრის მოწყობა - 2382 ლარი. საავტომობილო გზის რეაბილიტაცია -1350ლარი.ჭყვიშში საცალფეხო ხიდისთვის მასალების შეძენა -10708 ლარი ასევე ჭყვიშში მინი სტადიონის რებილიტაცია 1292 ლარი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 27

წინააღმდეგი –არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება ,,ვანის მუნიციპალიტეტში 2021 წელში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 11/03/2021 წლის N27 10 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.“

(განკარგულება N 27 11)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი
ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე